№ 71

ხუთშაბათი, 2 აპრილი, 1898 წ.

1877—1898

# ივერია

№ 71

ხუთშაბათი, 2 აპრილი, 1898 წ.

**გაზეთის ღირს:**

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 . . . | 10 — | 6 . . . | 6 — |
| 11 . . . | 9 50 | 5 . . . | 5 50 |
| 10 . . . | 8 75 | 4 . . . | 4 75 |
| 9 . . . | 8 — | 3 . . . | 3 50 |
| 8 . . . | 7 25 | 2 . . . | 2 75 |
| 7 . . . | 6 50 | 1 . . . | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

„ივერიის" ტელეფონი № 227

რედაქცია:
ნიკოლოოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.

**გაზეთის დასაბარებლად**
და განცხადებათა დასაბეჭდად
უნდა მიმართონ რედაქციას და წერა-კითხ.
გამავრც. საზოგადოების კანცელარიას

**ფასი განცხადებისა:**
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ 16 კაპ., მეოთხეზედ—3 კაპ.

„ივერიის" ტელეფონი № 227

დღესასწაულისა გამო შემდეგი ნომერი გამოვა კვირას 5 აპრილს.

თ. ილია ჭავჭავაძის იუბილეის გამო ქართველთა ამხანაგობამ მოსახერხებლადა ჰსცნო დააიაფოს მის მიერ გამოცემული თხზულებანი

## თ. ი. გ. ჭავჭავაძისა,

რათა ყველას მისცეს საშუალება მათი შეძენისა.

დაკლებულ ფასად გაიყიდება წიგნები მხოლოდ 12 აპრილამდე და შემდეგ-კი ისევ წინანდელ ფასად გაიყიდება.

| | | |
|---|---|---|
| პირველი ტომი გაიყიდება | . | 70 კ. |
| მეორე " " | . | 60 " |
| მესამე " " | . | 60 " |
| მეოთხე (ორი წიგნია) | | 1 მან. 20 " |

და ოთხივე ტომი ერთად 3 მანეთად.

ქალაქ გარეთ მცხოვრებთ გაეგზავნებათ მხოლოდ მაშინ, თუ ფოსტის ხარჯს გამოუგზავნიან ამხანაგობას, I ტომზედ 16 კ., მეორეზედ 16 კ., მესამეზედ 16 კ. და მეოთხეზედ 24 კაპ.

წიგნები ამ ფასად მხოლოდ ამხანაგობის კანტორაში იყიდება.

ლორის-მელიქოვის ქუჩაზედ, ალექსანდროვის ბაღის თავში.

(15—6.—15)

## ექიმი
## კ. ი. გძელიშვილი

მიიღებს

ყელისა, ცხვირისა და ყურით ავადმყოფებს.

დილ. 9—11 ს. საღამოზე 5—7 ს.

მიხეილის ქუჩა, ნემეცების ეკკლესიის პირდაპირ. Михайловская, противъ кирки.

(10—6.—3)

პირველი კერძო სამკურნალო ექიმის ნავასარდიანისა

კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

**ბ. ა. ნავასარდიანი**, 11—12 საათ. სადოსტაქარო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.

**ე. მ. ჩიქოვანი**, 9—10 საათ. სნეულებანი: შინაგანი, თვალისა და ნერვებისა.

მკურნალი-ქალი **ა. ი. რუდენკო.** $10^1/_2$—$11^1/_2$ საათ. ქალთა სენით და ბავშვების ავადმყოფ. მსურველთ ყვავილს აუცრის.

**ზ. ი. ბაბანასიანცი.** — დილის $11^1/_2$—12 ს. ქალთა სენით და ბავშვების ავადმყოფებს.

**ი. თ. პროტასევიჩი.** 12—1 საათ. ყურისა, ყელისა, ცხვირისა და გულით ავადმყოფებს.

**ა. პ. კარაპეტიანცი.** 1—$1^1/_2$ საათ. შინაგანი და ბავშვებისა.

**ა. გ. გურკო.** $1^1/_2$—$2^1/_2$ ს. შინაგანი, და საშარდეს ავადმყოფობის.

საღამოობით:

ბ. ა. ნავასარდიანი—$6^1/_2$—7 საათ.

ა. ნ. შპაკოვსკი—6—7 საათ. ნერვებისა (ელექტროტერაპია), ვენერიულ და კანის სნეულებას.

ტ. ი. რუდენკო—სამკურნალოში გამოიკვლევს ქიმიურად და მიკროსკოპიულად შარდს, ნახველს, სისხლს, რძეს და სხვ.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური; ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лѣчебница *Д-ра Навасардіана.*

Тифлисъ, противъ памятн. Воронцову

(წ)

## „შუამავალი"

ამხანაგობის მაღაზიაში

იყიდება სააღდგომოდ: გამომცხვარი პასკები, ლორი საუკეთესო მოხარშული და უმი, კვერცხის საღებავები, ფქვილები და ყოველგვარი სამზადისი პასქებისათვის.

(1—6.—1)

გამგეობა გურიის სავაჭრო-სამრეწველო ამხანაგობის

## „შუამავალისა"

ამით აცხადებს საყოველთაოდ, რომ თანახმად წევრთა წარმომადგენლების საზოგადო კრების გარდაწყვეტილებისა, პირველ მარტს ამა წლისა, კონსტანტინე ჩითანის ძე თავართქილაძე ამხანაგობის წარმომადგენლობისაგან დათხოვნილია და არც რაიმე ამხანაგობის „შუამავალი"-ს სამსახურში ითვლება, პირველი მარტიდამ ამა წლისა. ნაცვლად იმისა ამხანაგობის წარმომადგენლად არჩეულია სოლომონ ალექსანდრეს ძე ქეიშვილი, რომელსაც უნდა მიმართონ ყოველივე საამხანაგო საქმეების გამო.

(3—1)

# ახალი ამბავი

*** წუხელის, საღამოს $9^1/_2$ საათზედ, დიდად სამწუხარო დეპეშა მივიღეთ ქუთაისიდგან ბ-ნ სამსონ თოფურიასაგან. ეს დეპეშა გვაცნობებს, რომ ჩვენი ყოვლად ღირსეული პოეტი აკაკი წერეთელი საშიშს მდგომარეობაშია და საშინელი ტკივილები ჰქონია წინა-ღამეს გულის ფრიალისა და ჭიდილისა.

*** არქიმანდრიტი ლეონიდი, რომელიც ეხლა ხან გორის ეპისკოპოსად იქმნა დანიშნული, ამ ჟამად 37 წლის კაცია. განათლება კიევის სასულიერო აკადემიაში მიიღო, სადაც სწავლა კანდიდატის ხარისხით დაასრულა. 1888 წელს მამა ლეონიდე კავკასიაში მართლმადიდებელ ქრისტიანობის აღმადგენელ საზოგადოების სკოლების ინსპექტორად და ზაქათალის მისიონერად იქმნა დანიშნული, ხოლო შემდეგ, 1889 წელს, საქართველოს საეპარქიო სასწავლო საბჭოს წევრად. 1892 წელს იღუმენის ხარისხი ებოძა და დანიშნულ იქმნა ჯვარ ზედაძნის, ხოლო შემდეგ ხირსის მონასტრის წინამძღვრად. 1893 წელს არქიმანდრიტად აკურთხეს და საქართველოს ეპარქიის მონასტრების ბლაღოჩინად დანიშნეს. ხოლო 1896 წელს ქართლ-კახეთ-იმერეთის სინოდის კანტორის წევრად. ამის გარდა მამა ლეონიდე თავმჯდომარედ იყო სასულიერო წოდების ღარიბთა სამზრუნველოსი და იმ კომიტეტისა, რომელსაც ტფილისის საეკკლესიო ძველ ნაშთა საცავი აქვს ჩაბარებული. მამა ლეონიდე მუდამ გულმხურვალე მონაწილეობას იღებდა ყველა საზოგადო საქმეში და ფულით თუ საქმით ეხმარებოდა.

*** მოვაგონებთ ჩვენს მკითხველებს, რომ 10 აპრილს დანიშნულია ქ. გორში კრება გორის მაზრის მემამულეთა საზოგადოების წევრთა.

*** ამ დღეებში უმაღლესის მთავრობისაგან პეტერბურგიდგან ნებართვა გამოსვლიათ მცირე აზიაში წასვლისა განჯის მაჰმადიანებს, რომელთაც ამ გვარ თხოვნით მიჰმართეს მთავრობას.

*** გუშინ, პირველ აპრილს, მისმა იმპერატორებითმა უმაღლესობამ დიდმა მთავარმა ნიკოლოოზ მიხეილის ძემ დაათვალიერა ხილეულობის გამოფენა, რომელიც გამართულია კავკასიის სამეურნეო საზოგადოების სადგურში, ალექსანდრეს ბაღში. განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია მისმა უმაღლესობამ ბელაქნიდგან ჰაჯი ისმაილოღლისა და გორის მაზრიდგან ბ-ნ ფურცელაძის მამულებიდგან მოტანილ ხილსა და აგრეთვე კრწანისიდგან მოტანილს ხილს. მისმა უმაღლესობამ შეიტყო, რომ ზოგიერთ ადგილებიდგან ჯერ არ მოუტანიათ ხილიო და სთქვა, კიდევ შემოვივლი გამოფენის დასათვალიერებლადაო.

*** ჩვენ შევიტყეთ, რომ ქართული დრამატიული დასი აღდგომის შემდეგ აპირებს წარმოდგენების გამართვას ბაქოში. მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნი ავალიშვილისა, ბ-ნნი ალექსი-მესხიშვილი, დადიანი, კანდელაკი, მჭედლიშვილი და სხვ. პირველი წარმოდგენა დანიშნულია ოთხშაბათს, 8 აპრილს. ამ დღეს წარმოადგენენ ვ. გუნიას დრამას „დაძმას".

*** გუშინ, 1 აპრილს, ქალაქის გამგეობის დარბაზში, ქალაქის მოურავის გ. ევანგულოვის თანადასწრებით მოხდა ტირაჟი ქალაქის 1 სესხის ობლიგაციებისა. გაბათილებულ იქმნა 19,900 მანათის ობლიგაცია: ამათში 59 ას მანათიანისა და 14 ათას მანათიანისა. ამ უკანასკნელ ობლიგაციების №№ შემდეგია: 231, 284, 343, 142, 19, 83, 448, 156, 225, 565, 108, 282, 335 და 382.

*** ვის არ მოეხსენება სიმდიდრე ჩვენის ქვეყნის მცენარეულობისა, ყვავილეულობისა და ხილეულობისა. რას დასთეს, რომ არ ამოვიდეს, და რას დარგავ, რომ არ იხაროს და ლამაზად არ გაიფურჩქნ-გაიშალოს. სამწუხაროდ, ჩვენი ხალხი სთესს და ჰრგავს მხოლოდ იმას, რაც მამა-პაპას უთეს-ურგვია და არაფრით წინ-სვლა არ ეტყობა. ეხლა იქნება როგორმე გამოფხიზლდეს ჩვენი ხალხი, ხელი მიჰყო ძვირფასს მცენაურეულობისა და ყვავილის თესვა-მოყვანას და ხეხილის დარგვას, რადგან ამ გარემოებას ყურადღება მიაქცია ორმა ჩვენმა ბაღოსნობის მცოდნე თანამემამულემ მიხეილ მამულაშვილმა და თ. ზ. ჯავახიშვილმა, რომელთაც განიზრახეს ტფილისსა და ქართლში ყოველ გვარ მცენარეულობის თესლეულობისა და ხეხილის ნერგების საწყობები დააარსონ. ამ პატივცემულთ აწ ადა აქვთ ამ საწყობების შემწეობით ძვირფასს მცენარეულობისა და ხილეულობის მოვლა-მოშენების ცოდნა გაავრცელონ ჩვენს ხალხში.

*** ქუთაისში განუზრახავთ ჩვენის საუკეთესო მწერალთა ნაწერებიდგან პატარ-პატარა სახალხო წიგნაკები ჰბეჭდონ. წიგნაკების ფასი 2—5 კაპ. იქმნება. ასეთ წიგნაკებად ჰსურთ გამოსცენ ნ. ბარათაშვილის „ბედი ქართლისა", ვ. ორბელიანის „იმედი", გრ. ორბელიანის „სადღეგრძელო" და სხვ...

*** განზრახვა აქვთ ტფილისის ქალაქის ლაბორატორიაში კურსები გაჰმართონ სავაჭრო პოლიციის მოხელეთათვის ამ აპრილში. კურსებზედ მოხელეთ უნდა შეასწავლონ ის საშუალებანი, რომლითაც კაცს ადვილად შეუძლიან გაიგოს სანოვაგე ახალია თუ ძველი და გაფუჭებული.

*** ტფილისში უკვე მოვიდა ქ. მოსკოვს ბ-ნის ხლებნიკოვის მიერ დამზადებული ძვირფასი ალბომი, რომელიც უნდა მიართვან ტფილისის გუბერნატორად ნამყოფს თავ. გ. დ. შერვაშიძეს მისს ყოფილ მოხელეთ. ალბომის ყდის შუა ადგილას ლამაზად არის ამოჭრილი თავ. შერვაშიძის სურათი. სურათს თავზედ თავადის გერბი აქვს და ძირს— ტფილისის გუბერნიისა. სურათის გვერდით ვერცხლისა და ოქროთი ამოჭრილია პურის ბეღელი და აღნიშნულია ისიც, თუ რამდენი ხორბალია შენახული ბეღლებში და რა თანხა აქვთ შენახული სოფლის საზოგადოებათ.

*** გუშინ-წინ, 31 მარტს, ტფილისის სამოსამართლო პალატას, სისხლის სამართლის დეპარტამენტში დანიშნული იყო განსახილველად თავ. ნ. დიასამიძის მოკვლის საქმე. სასამართლო უკვე შეუდგა ხსენებულის საქმის განხილვას, როდესაც ერთი წევრი, სახელდობრ, ოპტოვცევი უეცრად ავად გახდა, რის გამო საქმის გარჩევა შემდეგისთვის გადასდეს.

*** როგორც უკვე ვაუწყეთ მკითხველებს, კავკასიის საიმპერატორო სამეურნეო საზოგადოების სადგომში 29 მარტიდგან გამართულ იქმნა ხილეულობის გამოფენა. ამ გამოფენის საგანი ის არის, რომ გააცნოს საზოგადოებას ის ხილეულობა, რომელიც კავკასიაში მოდის, რომელთაც შეუძლიან აპრილამდე გასძლონ. გამოფენაზედ გამოგზავნილია ხილეულობა ტფილისისა, ახალციხისა, სიღნაღისა, ნუხისა, არეშის მაზრების, ზაქათალის ოლქისა და სხვა ადგილებიდგან. ამ გამოფენაზედ ბევრი საუკეთესო ჯიშის მსხალი და ვაშლია, რომელიც კაცის ყურადღებას იქცევს, როგორც სიდიდით, აგრეთვე სილამაზით. გამოფენა მთელს კვირას გასტანს და შეიძლება აღდგომის პირველ დღეებამდისაც. გარდა ამისა შესდგა ცალკე კომისია, რომელმაც უნდა დააფასოს გამოფენილი ხილეულობა და იმათი ავ-კარგიანობა გამოარკვიოს.

*** საბჭოს მკურნალებს გედალინსა, ფომინა-ოსიპოვისას, გონიევსა და ტერ-ასატუროვს დაევალათ 5 აპრილამდე იარონ და თვალ-ყური ადევნონ იმ სანოვაგეს, რომელსაც ბაზრებსა და დუქნებში ჰყიდიან, პირველ ორს იარმუკასა და პუშკინის ქუჩაზედ, ხოლო დანარჩენთ— თათრის მოედანსა, სირაჯხანასა და ვორონცოვის ქუჩეზედ.

*** კავკასიის საიმპერატორო სამეურნეო საზოგადოების ერთმა წევრმა წინადადება შეიტანა ხსენებულის საზოგადოების საბჭოში იმის შესახებ, რომ ამა წლის აპრილს შინა მრეწველობის გამოფენა იქმნას გამართული.

** ტფილისის ოლქის სასამართლოს სისხლის სამართლის დროებითი განყოფილების მესამე სესსია ქ. გორში პირველი მაისიდგან დაიწყებს მოქმედებას.

** შინაგან საქმეთა სამინისტროს საყოველთაო მიწერილობის გამო ამიერ-კავკასიაში არსებულ სასოფლო ქსენონების გადაკეთების შესახებ, გუბერნატორებმა და ოლქის უფროსებმა ის აზრი წარმოსთქვეს, რომ საჭიროა ქსენონები სრულიად გაუქმებულ იქმნას და იმათ ნაცვლად სასოფლო სამკურნალოები იქმნას დაარსებული. თვითო ასეთ სამკურნალოში ათი ავადმყოფის დასაწოლ ადგილზედ ნაკლები არ უნდა იყოს. გარდა ამისა ყველა საზოქაულოში ფერშალი უნდა იყოს, რომელიც პირველ დახმარებას აღმოუჩენს ავადმყოფთ.

** გაზ. „კავკასს“ სწერენ გორის მაზრიდგან, რომ სამოსწავლო უწყებას აზრადა აქვს ქვიშხეთის სოფლის სამინისტროს სკოლისათვის ახალი შენობა ააგოსო. რაოდენიმე ფულს ამ სკოლის შენობისათვის მთავრობა გადასდებს. სოფელმა უნდა იკისროს მასალის მიზიდვა და ღობის შემოვლებაო.

** გაზ. „ახ. მიმ.“ სწერს, რომ უმაღლესმა მთავრობამ უკვე დაამტკიცა ტფილისის ქალაქის საბჭოს მიერ შემუშავებული წესდება წიგნთსაცავისა, რომელიც ტფილისში უნდა დაარსებულ იქმნას ქალაქის ხარჯით. ამ ჟამად ქალაქის გამგეობას განზრახვა აქვს ამ წიგნთ-საცავის მოსათავსებლად შესაფერი სადგომი იშოვოს.

** ლეხსუმი. ამ ჟამად აქეთკენ სხვა-და-სხვა გვარი გადამდები სენია გავრცელებული. ბევრია ავად ყვავილითა და წითელით.

** 31 მარტს, ნაშუაღამევის 2 საათზე, თიონეთის მაზრის სოფ. ბრისახლის მცხოვრებლთ კ. არაბულსა და ს. არაბულს, მთვრალებს, ჩხუბი მოუვიდათ, რომლის დროსაც კ. არაბულმა მძიმედ დასჭრა ხანჯლით ს. არაბული. დაშავებული მახეილის საავადმყოფოში წაიყვანეს, ხოლო დამნაშავე დააპატიმრეს. მკურნალების აზრით ს. არაბული მძიმედ არის დაჭრილი.

** 30 მარტს, ალექსანდრე შადინოვმა განაცხადა პოლიციაში, რომ 22 მარტს, ვიღაცას ჩემი საწერის სტოლის უჯრა გაუღია და 656 მანეთი და სხვა და-სხვა ძვირფასი ნივთები წაუღიაო. ამასთან შადინოვმა ეჭვი თავისს მოსამსახურე მელიტონ ხუცაშვილზედ მიიტანა. გამოძიება სწარმოებს.

— ჩვენ გვთხოვენ გამოვაცხადოთ, რომ ახალ არსენალის ქუჩაზედ, ივანე ზაალოვის სახლში № 7 მცხოვრები ეფემია ბიბილიძე იმდენად გაჭირვებულია, რომ საჭმელი პური არ მოეპოვებაო.

## წერილი ქუთაისიდგან

27 მარტი

წარსულს კვირას ქუთაისის ღარიბ მშობლებისათვის სადღესასწაულო დღე იყო. ამ დღეს აკურთხეს საძირკველი ქალების უსასყიდლო სკოლის შენობისა. პარაკლისს, რომელიც გარდაიხადა ალავერდის ეპისკოპოსმა ბესარიონმა, დიდ-ძალი საზოგადოება დაესწრო. აქ იყო გუბერნატორის თანაშემწე ბ-ნი მიკლაშევსკი, თავად-აზნაურობის წინამძღოლი თ. ს. გ. წერეთელი, ქალაქის მოურავი ბ-ნი ლ. თ. ლოლუა საბჭოს ხმოსნებითურთ, რეალურის სასწავლებლის დირექტორი, საერო სკოლების დირექტორი ბ-ნი ლევიტსკი, სამხედრო წოდების კაცნი, მრავალი მასწავლებელი, თითონ ამ სკოლის პატარა მოსწავლე ქალები თავიანთ მშობლებისა და მასწავლებლებითურთ. საერო სკოლების დირექტორმა ბ-ნ ლევიტსკიმ პარაკლისის შემდეგ წარმოსთქვა სიტყვა, აღნიშნა მნიშვნელობა ამ სკოლისა ჩვენის საზოგადოებისათვის და იმათი ღვაწლი, რომელთაც მხურვალე მონაწილეობა მიუღიათ ამ სასწავლებლის დაარსებასა და ცხოვრებაში. „დიდი ღვაწლი ამ სკოლის საკეთილდღეოდ, სთქვა დირექტორმა, მიუძღვის ამავე სკოლის უფროსს ქ-ნს მ. ი. რუბანს. სკოლას ბევრჯელ გამოუცდია გაჭირვება, ბევრჯელ უნახავს განსაცდელი, მაგრამ ქ-ნ რუბანის მოხერხებას და დაუღალავს შრომას ყველა ეს დაუძლევია და თავიდგან აუცილებიაო“. მართლაც, პატივცემულ ქ-ნს რუბანს ქუთაისში ყველა იცნობს როგორც ჭკვიანს, მოხერხებულს და სასწავლებლის მხნე უფროსს. ყველას კარგად ახსოვს, რა საუცხოვოდ მოაწყობს ხოლმე იგი ლატარია-ალეგრის ამ სკოლის სასარგებლოდ, რა მოხერხებულ დროს და ალაგს ამოირჩევს ხოლმე ამ საქმისთვის და რა უხვი შემოსავალი აქვს ამ დროს გატარებას. აი ახლაც იმდენს შრომასა და მეცადინეობას ეწევა, რომ სკოლას საკუთარი შენობა შესძინოს. ეტყობა, ქ-ნს რუბანს კარგად ესმის, თუ რა დიდი იმედი ბ ნუგეშია სასწავლებლისთვის საკუთარის შენობის შეძენა, ამისთანა სასწავლებლის არსებობა თითქმის უზრუნველია: იგი რყევაში აღარ იქნება და მკვიდრ ნიადაგზედ დამყარდება; სხვა წყარო არსებობისა რომ მოესპოს ამ გვარს სასწავლებელს, მარტო სწავლის ფასით შეუძლიან განაგრძოს არსებობა. აქ ძალა უნებურად მაგონდება მეორე მხნე და მოხერხებული ადამიანი სწორედ ამ გვარადვე მოღვაწე ქუთაისში. ეს გახლავთ სომხების მღვდელი ტერდავით იარალიანცი. მან აქაურს თავისს მრევლს ისეთი მშვენიერი ადგილი და შენობა შესძინა სკოლისათვის, რომ მრევლი ამ სიკეთისათვის არ დაივიწყებს და მომავალში ლოცვა-კურთხევით მოიხსენიებს.

ახლა ვიკითხოთ, როგორა ჰზრუნავს ქუთაისის თავად-აზნაურობა თავისის ერთად-ერთის საკუთარის სასწავლებლისათვის? ჰფიქრობს ისიც, რომ ეს სასწავლებელი მკვიდრს საფუძველზედ დააყენოს, ე. ი. მოუპოვოს ადგილი და საკუთარი შენობა, და ამითი მისი არსებობა უზრუნველ ჰყოს? ჩვენ გვახსოვს, რომ სათავადაზნაურო ბანკის საზოგადოებამ სამჯერ გარდაწყვიტა თავისს კრებაზედ, რომ ზედამხედველს კომიტეტსა და ბანკის გამგეობას უეჭველად მოეხერხებინათ სასწავლებლისათვის ადგილისა და შენობის შეძენა; ბანკს რამდენჯერმე კიდეც ჰქონდა მარჯვე შემთხვევა ეს გარდაწყვეტილება საზოგადოებისა სისრულეში მოეყვანა, მაგრამ, საუბედუროდ, არც ზედამხედველი კომიტეტი და არც გამგეობა ამისათვის არც წინად ჰზრუნავდა და არც ეხლა ჰზრუნავს. აგერ თითქმის თვრამეტი წელიწადია, რაც სათავად-აზნაურო სასწავლებელი არსებობს, ამ დროს განმავლობაში თითქმის ორმოც ათას მანეთზედ მეტი დაიხარჯა სახლის ქირად. ახლაც ყოველ წელს 3,500 მან. იხარჯება ამისათვის. სკოლის დაარსებისათანავე რომ საზოგადოებას ეფიქრა შენობის შეძენა, მარტო ეს სახლის ქირა იკმარებდა იმისს ფასადა. მაგრამ ამისათვის. ორიოდსამიოდეს გარდა, არავინა ჰზრუნავს და ბევრს სკოლა და სკოლის ბედი, როგორც სჩანს, ჩალადაც არ მიაჩნია.

თუ-კი მღვდელმა იარალიანცმა და ქ-ნ რუბანისამ შეიძლეს ისეთის საშვილიშვილო და სასახელო საქმის დაგვირგვინება, როგორიც არის სასწავლებლისათვის სახლის შეძენა, ნუ თუ მთელის მოწინავე წოდებისთვის ეს გასაჭირი უნდა იყოს? რასაკვირველია, გასაჭირი არ არის. მამაგრამ აქ საჭიროა, მხნეობა, გამბედაობა, თვით საქმისა და საზოგადოების სიყვარული, რომელიც, საუბედუროდ, ჩვენის საზოგადოების წარმომადგენელთ ამ შემთხვევისთვის აკლიათ, ხოლო სხვა დროისა და სხვა საქმისათვის-კი ძალიან უხვად აქვთ ხოლმე.

## წერილი ფოთიდგან.

უკვე შესდგა წლიური კრება, რომელიც უნდა მომხდარიყო 22 მარტს, ფოთის საურთიერთო ნდობის საზოგადოების წევრთა. 245 წევრთაგან, თუ რწმუნების ქაღალდებსაც ვიანგარიშებთ, 95 წევრი გამოცხადდა. შედარებით წელს არა სჩანდნენ სამეგრელოს სხვა და-სხვა მხრიდგან ჩამოსულნი წევრნი, ალბად ადრევე მოელოდნენ, რომ დივიდენდს არას მიიღებდნენ?! კრება დაიწყო დილის 11 საათზედ ქალაქის გამგეობის დარბაზში. პირველად საბჭოს წევრმა კ. ი. მიქაბერიძემ წაიკითხა ნუსხა საგნებისა, რომელიც უნდა განეხილათ და სთხოვა წევრთ, თავმჯდომარე აერჩიათ. ერთ-ხმად ბ-ნი ნიკოლაძე იქმნა არჩეული. შემდეგ კრებას მოხსენდა ბანკის ანგარიში, რომელმაც მსმენელთ ნათლად დაუსურათ-ხატა ბანკის საქმეების მიმდინარეობა.

ანგარიშიდგან აღმოჩნდა, რომ საანგარიშო 1897 წლის განმავლობაში საზოგადოებას მიჰმატებია 2 წევრი და დაჰკლებია 26, ასე რომ პირველ იანვრისათვის 1898 წ. საზოგადოების წევრთა რიცხვი სულ 221 შეადგენს, ხოლო სამოქმედო თანხა ჰქონია 63,970 მან. საზოგადოებას მთელის წლის განმავლობაში დაუტრიალებია 9.387,048 მან. 48 კ. სათადარიგო თანხა პირველ იანვრისათვის 1897 წ. დარჩენილა 34,535 მან. 45 კ., რომლიდგანაც პროტესტში წასულ თამასუქების ზარალის აღსადგენად გამოურიცხავთ 4,171 მ. 79 კ. 1897 წელს 1 იანვარში კასსაში დარჩენილა ნაღდი ფული 17,722 მ. 46 კ. შემოსავალი მთელის წლის განმავლობაში ყოფილა 1.788,938 მ. 14 კ. ხარჯი—1.792,195 მ. 35 კ., ასე რომ პირველ იანვრისათვის 1898 წ. საზოგადოების კასსაში ნაღდი ფული იყო 14,465 მ. 25 კ.

წევრთა მიერ ვადით შეტანილი ფული: 1 იანვარს 1897 წ. ყოფილა 23,685 მან, სამოქმედო წლის განმავლობაში შეუტანიათ 14,267 მან. გაუტანიათ 25,185 მან., 1 იანვრისათვის 1898 წ. დარჩენილა 12,767 მან. არა-წევრთა მიერ ვადით შეტანილი ფული: 1 იანვარს 1897 წ. ყოფილა 53,247 მ. 50 კ. წლის განმავლობაში შეუტანიათ 47,983 მან. 50 კ., გაუტანიათ 49,917 მან. 50 კაპ. 1 იანვრისათვის 1898 წ. დარჩენილა 51,313 მ. 50 კაპ.

სპეციალი მიმდინარე ანგარიში ტფილისის საკომერციო ბანკთან, უზრუნველ-ყოფილი სარგებლიან ქაღალდებით: 1898 წ. 1 იანვრისათვის საზოგადოებას დასდებია 68,178 მან. 80 კაპ., 1897 წლის განმავლობაში სარგებელი გარდაუხდია საკომერციო ბანკისათვის 4,689 მან. 42 კაპ.

განსაკუთრებული ანგარიში მარგანეცსა და სიმინდზედ გაცემულის ფულისა: ამ სახით საზოგადოებას 1897 წლის 1 იანვრისათვის, გაცემული ჰქონია 10,543 მან. 49 კაპ., ამ წელს გაუცია 53,399 მან. 05 კაპ. დაბრუნებულა 58,563 მან. 25 კაპ. 1898 წლის 1 იანვრისათვის გაცემულად დარჩენილა 5,379 მან. 29 კაპ. ამ საქმით საზოგადოებას თავის ფულის სარგებელი 2,479 მან. 99 კაპ. შემოსვლია.

გარდამავალი ფული 1898 წ. 1 იანვრისათვის ყოფილა 13,816 მან. 04 კაპ.

1897 წლის პირველ იანვრისათვის საზოგადოებას მიბარებული ფული ჰქონია 5,646 მან. ამ ფულიდგან წლის განმავლობაში გაუტანიათ 3,361 მან. 1898 წლის 1 იანვრისათვის დარჩენილა 2,285 მან.

დასაბრუნებელი ხარჯი 1897 წლის 1 იანვრისათვის ყოფილა 19,722 მან. 81 კაპ., 1897 წლის განმავლობაში კიდევ დაუხარჯავთ 3,482 მან. 55 კაპ. დაბრუნებულა 18,134 მან. 60 კაპ., 1898 წლის 1 იანვრისათვის დასაბრუნებელი დარჩენილა 5,070 მან. 76 კაპ.

1897 წლის 1 იანვრისათვის საზოგადოებას ქონება ჰქონია: მოძრავი—452 მან. 1897 წლის განმავლობაში შეუძენია 209 მან. 70 კაპ., გაუყიდნია 50 მან. 1898 წლის 1 იანვრისათვის დარჩენილა 611 მან. 70 კაპ.; უძრავი—1897 წლის 1 იანვარს ჰქონია 27,627 მან. 46 კაპ., შეუძენია 4,499 მან. 85 კაპ., გაყიდულ დუქნების ბეის ფული მიუღია 2,536 მან. 84 კაპ., 1898 წლის 1 იანვრისათვის დარჩენია 29,590 მან. 47 კაპეიკისა.

მიმდინარე ხარჯი საზოგადოებისა. საანგარიშო 1897 წლის განმავლობაში ბანკის სამოქმედოდ და შესანახად დაუხარჯავს: ა) მოსამსახურეთა ჯამაგირი 8,492 მან. ბ) სახლის ქირა 600 მან. გ) სავაჭრო მოწმობა 1,474 მან. 70 კაპ., დ) წვრილმანი ხარჯი 1,261 მან. 57 კაპ., სულ 11,828 მან. 27 კაპ.

თუმცა 1898 წლის ხარჯთ-აღრიცხვამ მცირეოდენი კამათი გამოიწვია და ბევრნი ამბობენ, რომ შევამციროთო, მაგრამ ბ-ნმა თავმჯდომარემ აუხსნა კრებას, რომ ასეთი ცვლილება საზარალოა და არა სარგებლო, რადგან ყოველი მოსამსახურემით უფრო გამრჯელია საქმეში, რაც უფრო უზრუნველ-ყოფილია ჯამაგირითაო.

კრებამ შეიწყნარა ეს წინადადება და დაამტკიცა ანგარიში წარსული წლისა, მომავალის წლის ხარჯთ-აღრიცხვა და გამგეობის მოხსენება. შემდეგ შეუდგნენ დირექტორის არჩევანს, ახალ კანდიდატად არავინ იქმნა დასახელებული და ისევ ბ-ნი ანცოვი ამოირჩიეს, რომელიც ჩვიდმეტი წელიწადია ბანკს ემსახურება.

ჰაბუკი

## წერილი გორიდგან

25 მარტი.

გუშინ, 24 მარტს, ოლქის სასამართლოს სააპელაციო განყოფილებამ გაარჩია იმ მამულების საქმე, რომლებსაც ქალაქი ედავებოდა გორელებს. ქალაქის გამგეობის წარმომადგენელმა პირველში დავა გამოაცხადა სამოც ნაჭერ მამულზედ, ბოლოს-კი, რაკი ეს საქმე მოუფიქრებლივ და უსაფუძლოდ მოახდინა, რამდენისამე დღის შემდეგ იმავე სასამართლოს შემდეგის თხოვნით მიჰმართა: ორმოც-და-თხუთმეტი ნაჭრის შესახებ გამგეობა დავას უარჰყოფს, დანარჩენი მამულები-კი ქალაქის საკუთრებას შეადგენსო. ამ უცნაურმა ამბავმა მთელი გორი შეაჩოჩქოლა და, რა თქმა უნდა, საქმის გარჩევას საზოგადოება ბლომად დაესწრო. ქალაქის გამგეობის ვექილმა ბ-ნმა ნ—მა ზედმიწევნით განმარტა ყოველივე საქმის გარემოება და აღნიშნა სენატის გარდაწყვეტილებანი, რომელთ ძალითაც ქალაქს უნდა დაუბრუნდეს ხსენებული მამულები. მამულების მეპატრონეებს საქმის დასაცავად მიეწვიათ გარეშენი, ზოგს მათგანს-კი საქმის წარმოება მიენდო ადგილობრივ ვექილთათვის. ბ-ნმა ნ—მა ღირს საყურადღებოდ შეასრულა თვისი მოვალეობა, იგი მოპასუხეებს სჭარბობდა როგორც საქმის ცოდნით, აგრეთვე მოხერხებულის მჭერმეტყველებით, თუმცა-კი ამ სადავო მამულების ზოგადი გეგმა და სხვა საბუთები ნათლად გვიჩვენებს, ვის საკუთრებას შეადგენს ეს მამულები. ბ-ნმა ნ—მა სასამართლოს წარუდგინა, სხვათა შორის, პირობის ქაღალდები, რომლებითაც ქალაქის მოურავს იჯარით მიუცია სადავო მამულები ამ 1898 წ. სასამართლოს განაჩენი, რომელიც ამ დღეებში გამოეცხადებათ მომჩივანთ, რასაკვირველია, გამოააშკარავებს რამდენადაც ეთანასწორება ეს პირობის ქაღალდები საქმის ნამდვილ გარემოებასა.

თვით გამგეობის შინაგანი საქმეები, როგორც შევიტყეთ, არეულდარეულია: თურმე არავითარი წესრიგი არ არსებობს, ყოველივე ბ-ნ მოურავის ხელშია. კარგა ხანია მას აქეთ, რაც ხმოსნებმა კომისია ამოარჩიეს და მიანდეს ბ-ნ მამასახლისისთვის 1896 წლის შემოსავალ-გასავლის ანგარიში ჩამოერთმია. აგერ თითქმის წელიწადმა განვლო და კომისსიამ ანგარიში ვერ მოახერხა. ნუ თუ ამისთანა დაუდევრობა შეიძლება? მით უმეტეს საჭიროა ანგარიში მოსთხოვონ მამასახლისს, რომ იმას სამსახურის ვადა უთავდება.

შაურა

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდგან)

ქ. იურიევში გამართულს ქართულს სალიტერატურო საღამოს შესახებ შემდეგი რეცენზიებია დაბეჭდილი ესტონიის გაზეთებში. მაგალითებრ, გაზ. „Postimees“-ი სწერს:

ქართულ საღამოს, რომელიც გაიმართა „ბურგერმუსსეს“ საზოგადოების სადგურის დარბაზში 14 თებერვალს, აუარებელი ხალხი დაესწრო. ამ საღამოს თავი მოიყარეს ჩვენის ქალაქის მცხოვრებელთა ყოველ ტომისა და ერის წარმომადგენელთ, რაც არ ხერხდება სხვა კონცერტების დროს, და საერთოდ ყველას სიამოვნების ღიმი უქროდა სახეზედ. ასე უნდა იყოს ხოლმე ყოველთვის ხალხით სავსე საკონცერტო დარბაზი და სათვისტომო განსხვავება არ უნდა ეკარებოდეს ხელოვნების ტაძარს. საღამოს, რომელსაც პროგრამის მიხედვით ბალის ხასიათი ჰქონდა, ბევრი საბალოდ მორთულ-მოკაზმული დაესწრო და ისედაც ლამაზად მორთულს დარბაზს სადღესასწაულო და თვალის წარმტაცს ელფერსა სდებდა. ამ მხრივ თავიანთის ჩაცმა-დახურვით განსხვავდებოდნენ ქალები და უნებურად იქცევდნენ ყველას ყურადღებას, რაც უფრო ძლიერდებოდა ხანგრძლივის ანტრაქტების გამო. საღამოს პროგრამმა თავისებურის ფერადით იყო შეხამებული. ქართულ სიმღერებს მეტად ლამაზი და ნარნარი კილო აქვს, ბევრი მათგანი ხელოვნურად იქმნა აღსრულებული. ყოველ მათგანს სამხრეთის სიმღერების ხასიათი აქვს და მწუხარე კილოთია გამსჭვალული. ჩვენს ყურს ცოტა ეუცხოვება, ყოველთვის არა ჰღელავს ჩვენი გული იმ სიმღერებით, რომლებიც აღაფრთოვანებენ ხოლმე ქართველს. სიმღერების სიტყვები გაუგებარი იყო ჩვენთვის და ამიტომ არც შეგვიძლიან ჭეშმარიტად დავაფასოთ იმათი ღირსება. განსაკუთრებული ხასიათი ჰქონდა თარზედ (გიტარასა ჰგავს) სიმღერას, რომელიც ლამაზად და ხელოვნურად აღასრულა თავ. ბ. ერთმა ქალმა ლამაზადა და მოხდენილად იმღერა ორჯელ, თუმცა ჩვენ მეტჯერაც სიამოვნებით მოვუსმენდით. საღამოს საერო ხასიათს უფრო კიდევ ის აძლევდა, რომ ყველანი საერო ტანთ-საცმელში იყვნენ გამოწყობილნი. ლამაზად იყო დადგმული ცოცხალი სურათები. ლეკური და ხანჯლებით თამაშობა მრავალჯერ იქმნა გამეორებული. ამ თამაშობამ მოგვაგონა მალოროსთა თამაშობა. ბალს საერთოდ სიცოცხლე ეტყობოდა. კარგის აზრით გამართულს საღამოს, რასაკვირველია, კარგი შედეგი ექმნება როგორც ღარიბ სტუდენტებისა, ისე დამსწრე საზოგადოებისთვის, რომელმაც ცოტად თუ ბევრად გაიცნო ქართველობა“.

სხვა გაზეთების აზრს შემდეგ დავბეჭდავთ და დასასრულს ჩვენის საკუთარის კორესპონდენტის წერილს.

***

მეორე გაზეთ „Oleuic“-ში დაბეჭდილია შემდეგი:

14 თებერვალს ქართველმა სტუდენტობამ „ბურგერმუსსეს“ საზოგადოების სადგურის დარბაზში გაჰმართა კავკასიური საღამო. საღამოს პროგრამმა შესდგებოდა სიმღერებისა, ლეკურისა და ცოცხალ სურათებისაგან. დარბაზი სავსე იყო ხალხით. მომღერალთა და მოთამაშეთა ქებასა და ვაშას ძახილს საზღვარი არა ჰქონდა. ქართველთა მისუკამ ოსმალური მუსიკა მოგვაგონა. მოხდენილმა და ლამაზად შესრულებულმა ლეკურმა და ხანჯლებით თამაშობამ სიმღერის დროს თვალ წინ დაგვიყენა ესტონთა ეპოსის კალევიჩის რაინდთა თამაშობა. საღამოს მონაწილეთა შორის რამდენიმე ქართველი თავადი იყო.

## რუსეთი

—

შინაგან საქმეთა სამინისტროს სამეურნეო დეპარტამენტმა თანახმად საერო განათლების სამინისტროსა და უწმიდესის სინოდის ობერ-პროკურორთან მოლაპარაკებისა ამ ჟამად შეიმუშავა ნორმალური წესდება ღარიბ მოსწავლეთა დამხმარებელ საზოგადოებების სახელმძღვანელოდ. დღეიდგან გუბერნატორებს ნება მიეცათ შინაგან საქმეთა სამინისტროსთან მოულაპარაკებლივ ნება დართონ ამ ნორმალურ წესდების მიხედვით მოსწავლეთა დამხმარებელ საზოგადოებათა დაარსებისა და აწ არსებულ საზოგადოებებს-კი მათისავე შუამდგომლობით თავიანთის წესდების ნორმალურ წესდებით შეცვლისა.

— საერო განათლების სამინისტრომ განმარტა, რომ იმათ, რომელნიც საშუალო სასწავლებლების რომელიმე კლასში შესასვლელად ეგზამენს კარგად გარდიხდიან, მაგრამ უადგილობისა გამო არ იქმნებიან მიღებულნი, თუ მოისურვებენ მოწმობა უნდა მიეცეთ იმ კლასების კურსის ცოდნისა, რომელთა სასწავლო საგნებშიაც იქმნენ გამოცდილნიო.

— შინაგან საქმეთა სამინისტროს წინაშე შუამდგომლობა დაუწყიათ იმის შესახებ, რომ ქ. ნიჟნი-ნოვგოროდში სატეხნოლოგო ინსტიტუტი იქმნას დაარსებულიო.

## უცხოეთი

—

**ჩინეთი.** „რეიტერის სააგენტო“ იუწყება: „რა წამსაც იაპონია მიიღებს ჩინეთისაგან სამხედრო გადასახადს და გაანთავისუფლებს ვეი-ხაი-ვეის, იმ წამს ინგლისი დაესაკუთრება ამ ნავთ სადგურს და იჯარით აიღებს. იჯარის პირობები ისეთივე იქმნება, როგორიც პორტ-არტურის შესახებ რუსეთმა და ჩინეთმა დასდეს. იაპონიას ინგლისი უკვე მოელაპარაკა და იმის თანხმობით იღებს იჯარით ვეი-ხაი-ვეის“. ამავე საგნის შესახებ სამინისტროს გაზეთი „Standard“ სწერს: „როდესაც ვეი-ხაი-ვეი ჩვენ ხელთ იქმნება, ხოლო კორეაა იაპონიას დაეთმობა, ჩვენ დაკმაყოფილებული ვიქმნებით და მტრულის თვალით აღარ შევხედავთ რუსეთსა და გერმანიას. მეორეს მხრით, ჩვენ ხელს აღარ შეუშლით ჩინეთს საფრანგეთიც დააკმაყოფილოს და სამხრეთის პროვინციებში რომელიმე ადგილი მისცეს“. ამავე დროს გაზ. „New-Iork-Herald“-ს დეპეშით ატყობინებენ იოკაჰამიდგან: „იმ შემთხვევაში, თუ ჩინეთი არ დააკმაყოფილებს ინგლისს და ვეი-ხაი-ვეის არ დაუთმობს, ინგლისს აზრადა აქვს პორტ-არტური ძალით წაართვას რუსეთს“.

— რუსული გაზეთი „Свѣтъ“-ი სწერს: „უცხო სახელმწიფოს ყველა გაზეთებმა დაჰბეჭდეს პეკინიდგან მოსული შემდეგი ამბავი: ჩინეთის ერთმა წარჩინებულმა მოხელემ, ცენზორთა საბჭოს წევრმა, იმპერატორს თხოვნა მიართვა, რომელშიაც ბრალსა სდებს ცუნგ-ლი-იამენს (ჩინეთის სენატს) და ამბობს, რომ იგი რუსეთმა მოისყიდაო. ამ მოხელის სიტყვით, რუსეთმა მოსყიდვას ათი მილიონი ტაელი მოანდომა. მათ შორის ლი-ხუნგ-ჩანგმა 1,500,000 ტაელი მიიღო. დასასრულ მოხელე სთხოვს იმპერატორს გამოძიება მოახდინეთ და თუ მე მტყუანი გამოვდექი და აღმოჩნდა, რომ ლი-ხუნგ-ჩანგს ქრთამი არ აუღია, თავი მომკვეთეთ, წინააღმდეგ შემთხვევაში ლი-ხუნგ-ჩანგს მოჰკვეთეთ თავიო“.

—

**ისპანია და შტატები.** გაზ. „Ag. Fab.“-ი სწერს: „აქ (მადრიდში) ყველანი იმ აზრისანი არიან, რომ ომი უეჭველად მოხდებაო. ქალაქი ჯერ-ჯერობით დამშვიდებულია. ზოგიერთის გაზეთის სიტყვით, მადრიდში მყოფი შეერთებულის შტატების ელჩი ვუდფორდი წასასვლელად ემზადება. მთავრობა დიდად არის მოწადინებული, რომ ომი არ მოხდეს, თუმცა ამავე დროს გაცხარებული ემზადება ომისთვისაო“.

—

**საფრანგეთი** გაზ. „Siecle-“ში დაბეჭდილია ვრცელი წერილი, რომელიც ესტერგაზისა და დრეიფუსის საქმეს შეეხება. ამ წერილში აღწერილია ის დამოკიდებულება, რომელიც ესტერგაზის პარიჟში მყოფ გერმანიის სამხედრო აგენტ შვარცკოპენთან ჰქონია 1892 წლიდგან—1896—მდე. ამ ხნის განმავლობაში ესტერგაზის შვარცკოპენისათვის 162 საიდუმლო საბუთის ქაღალდი მიუყიდნია. შვარცკოპენი მხოლოდ 1896 წელს, როდესაც გაზ. „Matin“-ში გამოქვეყნებულ იქმნა ბორდეროს ფაქსიმილე, მიხვდა, რომ დრეიფუსი იმ დანაშაულობისთვის იქმნა დასჯილი, რომელიც ესტერგაზიმ ჩაიდინა. როდესაც 1897 წელს, 16 ოქტომბერს პიკარმა ესტერგაზზედ ეჭვი აიღო და გამოძიება დაიწყო, ესტერგაზი აღელვებული შვარცკოპენთან მოვიდა და გამოუცხადა, რომ ან თავს მოვიკლავ ან სხვას ვისმეს მოვკლავ თუ თქვენ დრეიფუსის ცოლს არ ეტყვით, რომ გერმანიის მთავრობის ჯაშუში მე კი არა, იმისი ქმარი იყოვო. შვარცკოპენმა ამაზედ უარი უთხრა, მაგრამ იმას კი დაჰპირდა, რომ შენ სახელს არ გამოვაქვეყნებო. რამდენისამე ხნის შემდეგ ესტერგაზი ხელახლა მივიდა შვარცკოპენთან, მაგრამ ეხლა გახარებული და გაბრწყინვებული და გამოუცხადა, რომ ეხლა აღარაფრისა აღარ მეშინიანო, ორმა აფიცერმა ისეთი საბუთის ქაღალდი გადმომცა, რომელიც მე გამამართლებსო. ამის მიუხედავად შვარცკოპენს მაინც შეეშინდა, ჩემი ესტერგაზისთან დამოკიდებულება არ გამოქვეყნდესო და ნოემბერში პარიჟიდგან წავიდა. 15 ნოემბერს დაიბეჭდა მათე დრეიფუსის წერილი, რომელშიაც ის ბორდეროს ავტორად პირდა-პირ ესტერგაზის ასახელებდაო.

## წერილი კონსტანტინეპოლიდგან

(საკუთარის კორესპონდენტისაგან)

15 მარტი.

ხშირად ოდესის გაზეთებს ისეთი ამბები მოაქვს კონსტანტინეპოლში, რომ გაზეთის კითხვის სურვილი გეკარგება. მაგალითად, ამ რამდენისამე დღის წინად ეს გაზეთები იუწყებოდნენ, რომ ოსმალეთის მთავრობამ მაკედონია-ბოლგარიის საზღვრებზედ 76 ბატალიონი დამატებითი ჯარი გაჰგზავნაო, ნამდვილად-კი დღევანდლამდის ბოლგარიის საზღვარზედ 36 ბატალიონია.

მკითხველმა საზოგადოებამ რომ კარგად გაითვალისწინოს ოსმალეთის სამხედრო ძალა, ციფრებით აღვრიცხავ ოსმალეთის ჯარის რაოდენობას. ოსმალეთს ჰყავს სულ შვიდი კორპუსი ჯარი, თითოეული კორპუსი მშვიდობიანობის დროს შესდგება 36 ბატალიონისაგან, ბატალიონში რვაასი კაცია, და სდგანან შემდეგ ადგილებსა და ქალაქებში: პირველი კორპუსი კონსტანტინეპოლში და კონსტანტინეპოლისავე გუბერნიაში, მეორე—მაკედონიაში ბოლგარიის საზღვარზედ, მესამე—სერბიისა და ჩერნოგორიის საზღვრებზედ, მეოთხე—ერზერუმში, მეხუთე—დამასკში, მეექვსე—ბაღდადში და მეშვიდე—იამენში (არაბეთში). ეს კორპუსები, როგორცა ვსთქვით, მშვიდობიანობის დროს 36 ბატალიონისა, ანუ 28,800 კაცისაგან შესდგება. სულ შვიდ კორპუსში 201,600 კაცია. ომიანობის დროს თითქმის ოთხჯერ ჰმატულობს, სახელდობრ ბატალიონი 1000 კაცად სრულდება და კორპუსს ემატება 72 ბატალიონი პირველ და მეორე მოწოდების ჯარით და 36 ბატალიონი მუსტაფუზ (მოხუცთა) ჯარისა. მუსტაფუზნი ჰმზარეულობენ, სადარაჯოდ მორიგეობენ და სხვა საშინაო საქმეებს აკეთებენ. ამ რიცხვის მიხედვით ოსმალეთს ჟანდარმერიითურთ, რომელიც მშვიდობიანობის დროს პოლიციის სათადარიგო ჯარად ითვლება, სულ 270,000 ჯარის-კაცი ჰყავს (160,000 ჟანდარმია) და ომიანობის დროს-კი შეუძლიან 800,000 კაცამდის გამოიყვანოს.

ახლა ვნახოთ, შეუძლიან ოსმალეთს ამოდენა ჯარის გაგზავნა ბრძოლის ველზედ? შეუძლიან ჯარის რჩენა, ჩაცმა, დახურვა და ჯამაგირების ძლევა? ბევრს ეგონა, არაო. ჩვენც ასე ვფიქრობდით,ვიდრე ზედმიწევნით გავიცნობდით ოსმალებს. ოსმალეთი თავისის საკვირველის დიპლომატიის წყალობით ისეთს სამეფოს წარმოადგენს, რომ გარედგან მაყურებელი ძნელად გაიგებს იმისს ყოფა-მდგომარეობას. ამ ღირს საყურადღებო საგნის დასასურათებლად ჩვენ მოვიყვანთ აქ რამდენსამე საბუთს. როგორც ოსმალეთის სახელმწიფო ხარჯთ-აღრიცხვიდგანა სჩანს, სულთანს აზიზს თავისს 14 წლის მეფობის განმავლობაში, ჩვეულებრივის სახელმწიფო თუ სერაის ხარჯის გარდა, დაუხარჯავს 260 მილიონი ლირა (ლირა 8 მ. 50 კაპ.). აწინდელს სულთანს 21 წლის განმავლობაში ასი მილიონი ლირა. ამ 20 წლის განმავლობაში ოსმალეთმა სხვა-და-სხვა ხალხის აჯანყებასა და ომებს, საბერძნეთთან ომიანად, მოახმარა სრულიად ზედ-მეტი ჩვეულებრივ სახელმწიფო ხარჯისა ასი მილიონი ლირა.*) აქედგან ის შეგვიძლიან დავასკვნათ, რომ ოსმალეთს ჯერ კიდევ ძალ-უძს წელიწადში 10 მილიონი ლირა დახარჯოს და ამ ფულით ხომ თავისუფლად გამოჰკვებავს თავისს ჯარს რამდენსამე თვეს. მაშასადამე, ოსმალეთი ჯერ ღონიერი ყოფილა.

მაგრამ, მაგარიც ის არის, რომ ოსმალეთი ერთს წერტილზედა სდგას და წინ არ მიდის. გარეშე მტრებს გარდა, შინაც ბევრი მტერი ჰყავს. მისს ათასს გვარ ქვეშევრდომთა შორის უმეტესი ნაწილი მაჰმადიანობაა უმეცარი და „შუბლის წერის“ მოთაყვანე, რომელთა რიცხვიც დღითი დღე ჰკლებულობს, დღითი დღე უკან მიდის ქონებრივად. სწავლა-განათლებით ხომ ბევრად ჩამორჩებიან ქრისტიანებს. წინათ, მაგალითად, მცირე აზიის, გინა სტამბოლის, რომელსამე სოფელსა და განყოფილებაში თუ ასი მოსახლე ოსმალო იყო და სამოცი ქრისტიანი, სამაგიეროდ ეხლა ასი ქრისტიანია და სამოცი ოსმალი და არა-ქრისტიანი. 40 წლის წინად ოსმალეთში მაჰმადიანობა ორჯელ მეტი იყო ქრისტიანებზედ, ეხლა ერთჯელ მეტიც აღარ არის. იმისდა მიუხედავად, რომ ამ ოცის წლის განმავლობაში თითქმის ყოველ დღე შეუბრალებლად ჰხოცავდნენ ქრისტიანებს, იმათი ზრდა და გამრავლება ვერ შეაფერხებს, სომხებს გარდა. შესაძლებელია, რომ ოსმალეთი, სრულიად ხელი რომ არავინ ახლოს, ერთის საუკუნის შემდეგ თუ ასე ბედ-იღბლის შემყურებელი იქმნება, თავის თავად მოისპოს. ისე შემცირდება მაჰმადიანთა რიცხვი, ისეთივე ბედი ეწვევა, რაც კონსტანტინე პალეოლოგს დაემართა ოსმალების შესევის დროს.

ჯერ-ჯერობით-კი ოსმალეთის შესახებ ეს არ ითქმის. იმას ადვილად შეუძლიან გაუმკლავდეს ერთს რომელსამე თავისს ოდენა სახელმწიფოს. მხოლოდ ის არის საფიქრებელი, რომ შეიძლება შინვე თავში საცემი საქმე გაუჩნდეს, მაგალითად, თესალიაში, მაკედონიაში, მცირე-აზიაში და თვით არაბეთშიაც, სადაც დრუზები და არაბთა სხვა ტომები უკმაყოფილონი არიან ოსმალეთის მთავრობისა და დიდს თანაგრძნობას უცხადებენ ინგლისს. ამ ბოლო დროს მაინც მეტად მოიკიდა ინგლისმა ფეხი არაბეთში; იქ მცხოვრებლების მეტმა ნაწილმა ინგლისური ენა იცის. სარწმუნოების მხრივაც არაბები არ არიან მცირე-აზიის მცხოვრებელ მაჰმადიანებსავით ფანატიკოსები.

ოსმალთა შორის შურიანობა და განხეთქილობა ხომ ხშირია. ახალ თურქთა დასის გარდა, თვით სადიპლომატიო წრეთა შორისაც დიდი უთანხმოებაა. სრულიად მოულოდნელად ორი დასი შესდგა. ერთი თესალიიდგან ჯარის გამოყვანას თხოულობს ბერძნების გულის მოსაგებად, ხოლო მეორე—სრულიად წინააღმდეგია ამისი. ამ რამდენისამე დღის წინად დიდი ლაპარაკი იყო ამ საგნის შესახებ და დიდი ალიაქოთი ილდიზ-კიოსკში, კინაღამ საქმემ ტყაპა-ტყუპამდის არ მიაღწია. ბოლოს ისევ პირველმა დასმა გაიმარჯვა და ეხლა ნელ-ნელა იბარებენ ჯარს თესალიიდგან. თუ ახალმა ბოლგარიის საზღვარზედ მოსალოდნელმა შეტაკებამ საქმე არ შეაჩერა, აზრადა აქვთ აპრილის გასვლამდის სრულიად გამოიყვანონ თავიანთი ჯარი თესალიიდგან.

საზოგადოდ დღეს კონსტანტინეპოლში დიდი სიწყნარეა. ბაირამობის დღეებში გამოსულმა ირადემ, სხვათა შორის, გვახარა, რომ სახელმწიფო სკოლებში ძველებურადვე იქმნებიან მიღებულნი საზოგადოდ ქრისტიანეთა შვილები და კერძოდ სომხებისაო. დღითი დღე აქეთ იქით გაფანტული სომხობ

*) ამ ფულშია მოქცეული სახელმწიფოს გასტუმრებული ვალიც.

უკანვე ბრუნდება და მთავრობაც აღარ აქცევს სასტიკს ყურადღებას. ეხლა უფრო გაფაციცებით ადევნებენ თვალს თვით ოსმალთ, რომელნიც უკმაყოფილონი არიან თესალიიდგან ჯარის უკან და ბრუნებისა გამო. კრიტის გუბერნატორად საბერძნეთის თავადის გიორგის დანიშვნას არ დასთანხმდა სულთანი, ავსტრიისა და გერმანიის წაქეზებული. გერმანიის იმპერატორს ოსმალეთი დიდად მეგობრულის თვალით უყურებს. იმპერატორის ვილჰელმ მე-II მისაღებად დიდი მზადებაა აქ. სულთანმა უკვე მოიწვია და გაურიგდა ხუროთ-მოძღვარს ბილოსის, რომელმაც ილდიზ-კიოსკის მახლობლად საუცხოვო კოშკი უნდა ააგოს. ამ საქმისთვის უკვე გადადებულ იქმნა ასი ათასი ლირა—სამოცი აშენებისა და ორმოცი მოწყობისათვის, ვილჰელმს აღდგომის მეორე კვირაში მოელიან და ის-კი არავინ იცის, რამდენს ხანს უნდა დარჩეს კონსტანტინეპოლში. კონსტანტინეპოლიდგან იმპერატორი იერუსალიმს წავა.

წარსულ კვირას სულთანმა გაზი-ოსმან-ფაშის შვილს მემედ-ჯალალ-ედინ-ფაშას (21 წლისაა) თავისი ქალიშვილი მიათხოვა. ქორწილს ორასი ათასი ლირა მოუნდა ხარჯად...

იასე რაჭველი

## ნაკვესი

სასამართლოში.

მოსამართლე. მოწმევ, რამდენის წლისა ხართ?

მოწმე-ქალი. ოც-და-ცხრისა.

მოსამართლე. მაღიან კარგი, მაგრამ გახსოვდეთ კი ქალბატონო, რომ რასაც ამას იქათ გკითხავთ, პასუხად მხოლოდ მართალი უნდა მითხრათ.

## ჟურნალ-გაზეთებიდგან

(ამოკრებილი ამბები)

საფრანგეთის საერო სამინისტროს წარმომადგენელი ლეგუარი ამერიკაში ყოფილა, მისულა ახალგაზდა დედაკაცების სადგურში და უნახავს, რომ ხელოსანი ქალები ფილოსოფიურ წიგნებსა კითხულობდნენ.

ლეგუარს ძლიერ გაუკვირდა ეს ამბავი, მაგრამ ხელოსან დედაკაცებმა მოახსენეს, ჩვენ საზოგადოდ ბევრსა ვკითხულობთ წიგნებს, ხოლო რაც შეეხება ამ წიგნებსა, იმიტომ ვკითხულობთ, რომ ხვალ კლუბში კრება გვაქვს დანიშნული და კამათი ფილოსოფიურ საგნებზე იქმნებაო.

შემდეგ ლეგუარმა გაიგო, რომ ამერიკაში ბევრი კლუბია ხელოსან დედაკაცთათვის და აქა სწავლობენ მრავალ საგნებს. აი მაგალითად, რა საგნებზე აქვთ ხოლმე კამათი კლუბში ხელოსან დედაკაცებს: „რა არის სიმდიდრე“? საჭიროა, თუ არა დედაკაცებისათვის საარჩევანო უფლებანი? „ცხოვრება და ბრძოლა არსებობისათვის“. „რადა თხოვდებიან ეხლა ქალები გაცილებით უფრო ნაკლებად, ვიდრე უწინ და სხვ. ამგვარი კამათის დროს თავმჯდომარედ ირჩევენ უფრო მცოდნესა და უფრო განვითარებულ ხელოსან დედაკაცს და ერიდებიან ხოლმე „ნასწავლ“ დედაკაცებს“.

კლუბში ქალები სწავლობენ აგრედვე წერა-კითხვას, ქსოვასა, ქარგვას და სხვ. საზოგადოდ კლუბს საგნადა აქვს მიანიჭოს ხელოსან დედაკაცებს საჭირო და ცხოვრებაში გამოსადეგი ცოდნა.

გარდა ამისა კლუბშივე არის მრავალგვარი გასართობი ხელოსან დედაკაცთათვის, სალამოები და სხვ.

თითოეული კლუბი განსხვავდება სხვა კლუბისაგან თვისის დანიშნულებით. ერთი კლუბი განთქმულია კარგის ბიბლიოთეკით, მეორე სახელოსნო კლასებით, მესამე ხელსაქმით და სხვ.

უფრო დიდი სახელი აქვთ იმ კლუბებს, სადაც მუსიკას ასწავლიან. პირველი ამ გვარი კლუბი დაარსდა ამერიკაში 15 წლის წინად. ამ კლუბის წევრად ირიცხებოდა სულ 13 ხელოსანი დედაკაცი. ეხლა-კი ასეთი კლუბები ამერიკის ყველა დიდრონ ქალაქებშია, ხოლო უფრო ბევრია ნიუ-იორკში. ამ ქალაქში ხელოსან დედაკაცთა კლუბების წევრებად 2000 ქალი ირიცხება. ყველა კლუბი ერთს საზოგადოებას წარმოადგენს, რომლის საქმეს 9 დირექტორი განაგებს. თითოეულს კლუბს აქვს საკუთარი წესდება და თვითმმართველობა. კლუბის საქმეს განაგებს ხოლმე კრება, რომელიც თვეში ერთხელ უნდა მოხდეს. საქმე ხმის უმეტესობით გადაწყდება ხოლმე. რომ უფრო ბევრი წევრი მიიზიდონ კლუბში, საწევრო ფული ძლიერ ცოტაა დანიშნული.

კლუბების საზოგადოებას აქვს თავისი საკუთარი გაზეთი სახელად „Far and Near“, რომლის გამომცემელად არის ქ-ნი მ. შოპენი. გაზეთი სწერს კლუბის საქმეებზე. საზოგადოებასვე აქვს საკუთარი ფონდი ანუ თანხა და ამ თანხიდგან ეხმარებიან ხოლმე იმ ხელოსან დედაკაცთ, ვინც დროებით უსაქმოდ არის დარჩენილი და ამიტომ გაჭირვებულნი არიან. საზოგადოებას აქვს აგრედვე ბიურო, რომლის საგანიც არის უადგილოდ და უსაქმოდ დარჩენილ წევრთათვის სამსახურისა და ადგილის შოვნა.

## სამი ტერმინი

(უკანასკნელი სიტყვა)

ხშირად პაწია საგანზედ დაწყებული ბაასი მოულოდნელად მსხვილს შედეგს დაბადებს ხოლმე. ვოდოპადის შესახებაც აღძრულს სიუბარს სწორედ ასეთივე შედეგი მოჰყვა.

ეს შედეგი იმაში მდგომარეობს, რომ ერთხელ კიდევ ცხადი შეიქმნა ჩვენთვის, ყველასათვის, ის აზრი, თუ რამდენად მდიდარია ქართული ხალხური ენა ლექსიკონებისა და სალიტერატურო ენა ზე. ჩუბინაშვილის ლექსიკონი სამს რუსულს ტერმინს, აღმნიშვნელს სხვა-და-სხვა მოვლენისას: пороги, водоподъ, каскадъ სთარგმნის ერთითა და იმავე სიტყვით: ჩანჩქერი, და ამითი აძლევს საბუთს ჩარიცხონ ქართული ენა ღარიბ ენათა შორის. მოხასეებმა-კი ერთი ლექსიკონებრივი სიტყვის მაგიერ წამოაყენეს ათამდე ხალხური ტერმინი, წმინდა ქართულს ფონეტიკაზე აგებული და მეტ ნაკლებობით ზედ გამოჭრილი აღსანიშნავ მოვლენაზე. კერძოდ მე გამოზიარებ-ნმა გიორგი იოსელიანმა ერთი კიდევ კარგი ხალხური ტერმინი—წყალტეხილი, რომელიც სურათულად ჰხატავს ერთს თვისებას მაღლიდამ დაშვებულს წყლისას, სახელდობ მას, რომ ამ ადგილას მდინარე ემსგავსება გადატეხილს ხესა. შეიძლება ხალხში მოიპოვებოდეს სხვა ტერმინებიც.

აი, კიდევ ერთი თვალ-საჩინო საბუთი იმისა, რომ ჩუბინაშვილის ლექსიკონი მეტად ღარიბია და ჩვენ გვჭირის და მოვალენიც ვართ შევადგინოთ ახალი ლექსიკონი, იმდენად მდიდარი და სრული, რამდენადაც მდიდარია ჩვენი ენა, აღზრდილი და გაფურჩქნილი უმდიდრესს მუნებაზედ ერის მრავალ მხრივ თავ-გადასავალსა და ისტორიაზე.

მაგრამ იმ ტერმინებს შორის, რომელნიც მოხასეებმა წამოაყენეს, რომელი უნდა ვამჯობინოთ, რომელთ მივსცეთ უპირატესობა და საზოგადო ტერმინად ვაღიაროთ?

Водопадъ-ი უნდა ითარგმნებოდეს, როგორც მოგახსენეთ წინედ, ტერმინით ჩახრიალა, რომელიც იხმარება მთელ ქართლ-კახეთში, пороги—ჩანჩქერი (წყალი მიჩანჩქარებსო, ამბობენ აქეთ საქართველოში, როცა მდინარე გადადის ქვებზედ), каскадъ—საჩქეფი, რადგან მთაში ამ სახელს ეძახიან პატარა ნაკადულებს, რომელნიც ზევით მაღლობიდგან ქვემოდ ღელეში პირდაპირ ჩაშხივიან, ჩქჩქეფენ. შეიძლება და კარგიც იქნება, თუ მთავარ-ტერმინებთან ვიხმართ, როგორც სინონიმებს, ადგილობრივ სიტყვებსაც ამ სახით: ჩახრიალა ანუ წყალ-ტეხილი და სხვანი.

იაკობ გოგებაშვილი

### პეტერბურგის ბირჟა, 31 მარტი

| | მყიდვე-ლისა | გამყიდ-ველისა | გაყიდუ-ლისა |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ მანეთიანი ოქრო . . . . . | — „ | — „ | — „ |
| 5%.-ნი მომგებიანი გირავნობის ფურცლები სახელმწიფო სათავად-აზნაურო ბანკისა . . . . | — „ | — „ | $222^1/_2$ |
| $4^1/_2$% გირავნობის ფურცლები იმავე ბანკისა . . | $99^3/_4$ | — „ | — „ |
| 6% ფურცლები ქუთაისის სათავად-აზნაურო ბანკისა . | 102 | — „ | — „ |
| 5% იმავე ბანკისა. | 100 | — „ | — „ |
| 6% ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკისა . . . . | 102 | — „ | — „ |
| 5% იმავე ბანკისა. | 100 | — „ | — „ |
| 5% ობლიგაც. ტფილისის ქალაქის საკრედიტო საზოგადოებისა . . . | — „ | — „ | $100^1/_2$ |
| 5% პირველი შინაგან სესხის მომგებიანი ბილეთი . | — „ | — „ | 284 |
| 5% მეორე შინაგან სესხის მოგებიანი ბილეთი | — „ | — „ | $248^1/_2$ |

## წერილი რედაქციის მიმართ

ქ. ბათუმში ვცხოვრობ 1887 წლიდგან ჩემის ოჯახობით, რომელიც 11 სულისაგან შესდგება. ჩვენს გარდა, აქ სხვანიც არიან სომხები, რომელთაც არ იციან არც სომხური წიგნი, არც სომხურად ლაპარაკი, რადგან საქართველოში დაბადებულ-აღზრდილები ვართ და უფრო ქართული გვესმის. დღემდის გვყავდა ისეთი მოძღვარი, რომელიც აღსარებას ქართულად გვათქმევინებდა, სახელდობრ მამა ტერ-კონსტანტინე ტერ სტეფანოვი, დღეს ის გამოგვეთხოვა საოჯახო გარემოებათა გამო და უჩვენოდ, ჩვენ დაუკითხავად იმისთანა ტერტერები მოიყვანეს, რომელთაც ჩვენი არა ესმით-რა და რომელთა ჩვენ არა გვესმის რა, ზოკები არიან და ამის გამო ვართ ამ დიდ-მარხვაში ლოცვასა და ზიარებას მოკლებულნი.

ამას წინად მრავალმა აქაურმა მივმართეთ სომეხთა კონსისტორიას და ვთხოვეთ იმისთანა მღვდელი დაენიშნათ, რომ ქართული იცოდეს. დაგვპირდნენ და ეს დაპირება ჯერაც დაპირებად არის დაშთენილი. კარგი იქნება ამ ჩემს თხოვნას მიაქციონ ყურადღება, ვისიც ჯერ არს, და დააკმაყოფილონ ჩვენი სამართლიანი სურვილი.

ვთხოვ სომხურსა და რუსულს გაზეთებს ეს ჩემი წერილი გადაჰბეჭდონ, რომ იქნება ამით უფრო ჩქარა მიაღწიონ იმათ ყურამდე, რომელთაგანაც ჩვენის თხოვნის შესრულებაა დამოკიდებული.

ბათუმში მცხოვრებელი ქუთაისის მოქალაქე ალექსანდრე გიორგის ძე ბეგალოვი

—

დიდს მადლობას ვუცხადებ კნიაჟნა ქეთევან დიმიტრის ასულს ერისთავს, რომელმაც განაცხადა თანაგრძნობა ჩემ მიერ შედგენილ საეკკლესიო ოთხ ხმიან ქართულ ხოროს გალობისა და გადმომცა ხუთი მანათი ხოროსათვის ნოტების სასყიდლად.

ხოროს გამგე ი. მონადირიშვილი


# განცხადებანი

## ქალაქის გამგეობა

საჭიროდ სთვლის ამ თ ვითვე გამოუცხადოს ვაჭრებსა და საკონდიტეროების პატრონებს, აღარ იხმარონ პასქისა და სხვა სააღდგომო პურის გამოსაცხობათ შაქრის ფხვნილი ყვითლად შეღებილი ტყვია ნარევის წამლით ესრედ წოდებულ „კრონისა“, ან „კრანგელით“, რადგან ამ გვარ ნამცხვარების გაყიდვის ნება არავის მიეცემათ·

(3—6.—2)

## ვყიდულობ

ყოველ გვარს ძველებურს ნივთებს სპილენძისასა, თითბრისასა, ვერცხლისასა, ოქროსასა, ძველთა დროს ხელოვნურად მინანქრით ნამუშევარ- და აგრეთვე ოქრომკედით ნაკერუაე ლობასა.

ფოტოგრაფი ა. ს. როინაშვილი.

(წ.)

„წერა-კითხვის საზოგადოების“ **წიგნის მაღაზიაში**

ისყიდება შემდეგი წიგნები: საქართველოს ისტორიისა და მწერლობის შესახებ.

| | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| ილია ჭავჭავაძის ბიოგრაფია . . . . . . . | „ | 20 |
| მოლიპულ გზაზე, მოთხრობა . . . . . | 1 | „ |
| მთიულეთი ალ. ფრონელისა . . . . . | „ | 70 |
| მოსავლის მცველნი გოგებაშვილისა . . . . | „ | 20 |
| ბიროემანსი. კარგარეთელისა . . . . . | 1 | „ |
| ყვავილთა შორის საყმაწვილო წიგნი სურათებით, მშვენიერის ყდით . . | 1 | „ |
| ამბავი ცხოველთა სამეფოსი, სურათებით და მშვენიერის ყდით . . . | 1 | „ |
| სურათი მეფე ერეკლესი ყმაწვილობის დროს . | „ | 25 |
| კანვაზე საკერი ანბანი . | „ | 40 |
| ქართლის ცხოვრება I წიგნი გამოცემა ზ. ჭიჭინაძისა . . . . . | „ | 40 |
| ლექსები ანტონ ფურცელაძისა ფასი . . . | „ | 40 |

## საყურადღებო განცხადება

თუმცა პასკებს (ბაბკებს) ბევრი აცხობს, მაგრამ ჯერ ბევრს-კი არა აქვს შესწავლილი ნამდვილი ხელობა პასკების კარგად გამოცხობისა, რის გამო მსყიდველი ხშირად სტყუვდება.

ამისათვის მაქვს პატივი ვაუწყო საზოგადოებას, რომ ჩემს

### საკონდიტეროში

ვორონცოვის ძეგლთან

საადღგომოდ მზადდება დიდძალი პასკები და «კულიჩები».

ღირსება ჩემს სახელოსნოში მომზადებულ პასკებისა, რომელიც საუკეთესო მასალიდან კეთდება ხოლმე, ყოველთვის საუცხოვო გემოსია, რაშიაც პატივცემული საზოგადოება ძრიელ ადვილად დარწმუნდება.

პატივისცემით არ. ივ. ალიხანოვი.

(2—63—2)

1) **РУКОВОДСТВО** для учителей и учительницъ къ преподаванію по книгѣ

### „РУССКОЕ СЛОВО“,

იაკობ გოგებაშვილისა, გამოცემა მეორე, გადასწორებული და შევსებული, ფასი ყდიანი წიგნისა სამი აბაზი, უყდოდ აღარ იყიდება. ვინც ნაღდს ფულზე იყიდის ათს ან მეტს ცალსა, წიგნი დაეთმობა 48 კაპეიკად. წიგნი მოწონებულია მთავრობისაგან ყველა დაბალ და საშუალო სასწავლებელთა ბიბლიოთეკებისათვის კავკასიაში.

### 2) ОЧЕРКЪ СРАВНИТЕЛЬНОЙ ГРАММАТИКИ РУССКАГО И ГРУЗИНСКАГО ЯЗЫКОВЪ,

იაკობ გოგებაშვილისა, ფასი ერთი აბაზი, ვინც ათს ან მეტს იყიდის, წიგნი დაეთმობა 16 კაპეიკად. ეს უკანასკნელი წიგნი მთლად ჩართულია პირველის ბოლოში და ამიტომ მყიდველმა პირველისამ არ უნდა იყიდოს მეორე. საწყობი ორივე წიგნისა არის ტფილისში წერა-კითხვის საზოგადოების მაღაზიაში.

(6—1)


Дозволено цензурою, Тифлисъ 1-го Апреля 1898 г. სტამბა მ. შარაძისა და ამხანაგობისა. რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.